



საქმე # 330210016001229474



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქმე №28/893-16
“25” მარტი, 2016 წელი

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
ეკატერინე ცისკარიძე
ლევან გვარამია

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - ქ. უ.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
01.02.2016წ. განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.02.2016წ. განჩინებით
მოსარჩელეებს, ამხანაგობა ვ. უ.-ს და მის წევრებს - რ. ნ.-ს, დ. ქ.-ს, ე. ბ.-ს, ე. ლ.-ს, ვ. გ.-ს, ლ. ა.-ს, ო.
გ.-ს, მ. ხ.-ს, ქ. ჭ.-ს, ზ. გ.-ს, გ. მ.-სა და ქ. უ.-ს უარი ეთქვათ სარჩელის მიღებაზე.

განჩინება ეფუძნება შემდეგს:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის
”თ” ქვეპუნქტის თანახმად მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს
სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამავე კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების
დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების,
მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს სარჩელის ფასი.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად სარჩელებზე წარმოებს სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 3 %-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

- განსახილველ შემთხვევაში სარჩელის ფასი განსაზღვრულია 100 ლარის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით არაქონებრივი დავებისათვის.

- სასამართლო განუმარტავს მოსარჩელებს, რომ სარჩელით აღძრული დავა არ განეკუთვნება არაქონებრივ დავათა კატეგორიას, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი გადახდილი უნდა იქნეს სარჩელის დავის საგნის ღირებულების 3%-ის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ ვალდებულების მოცულობით, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკითაა დატვირთული ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი ე.ი. 22 000 აშშ დოლარით, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კი შეადგენს 660 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ლარში ბაჟის გადახდის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

- სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე (№: ას-1384-1306-2012), რომელითაც სასამართლომ განმარტა შემდეგი:

- საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა უდევს მას საფუძვლად, საპროცესო მოთხოვნა მიმართულია ფულად თანხაზე, ფულადი ღირებულების მქონე ნივთებზე, ან უფლებებზე. საპროცესო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ქონებრივ-სამართლებრივად იმ შემთხვევებში, როცა მას საფუძვლად ქონებრივი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა უდევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი (აღიარებითი, მიკუთვნებითი თუ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ მიმართული). ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა არის ყველა ის ურთიერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ფულადი თანხით, ან ფულადი ღირებულების მქონე საგნების შენარჩუნება. არაქონებრივ-სამართლებრივი დავების გამიჯვნა ქონებრივ-სამართლებრივი დავებისაგან ხდება გამორიცხვის მეთოდით და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც ქონებრივ-სამართლებრივ დავას არ წარმოადგენს. არაქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ პირად ან მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი ეკონომიკური სარჩულის გარეშე.

- ამდენად, წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.02.2016წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა **ქ. უ.-მ.** თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 09.03.2016წ. განჩინებით კერძო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში.



სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ კერძო საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლი ადგენს, რომ კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა სრულად ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემულ მსჯელობას მასზედ, რომ წინამდებარე დავა მიეკუთვნება ქონებრივ-სამართლებრივ დავათა კატეგორიას და სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილი უნდა იქნას დავის საგნის ღირებულების 3%-ის ოდენობით. გასაჩივრებულ განჩინებაში მართებულად არის მითითებული ქონებრივ-სამართლებრივი დავის დახასიათების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ იპოთეკის უფლება მიეკუთვნება რა აქცესორულ უფლებათა რიცხვს, იგი არ არსებობს ძირითადი (უზრუნველყოფილი) მოთხოვნის უფლების გარეშე. იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება, დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების საფუძველზე წარმოშობილი შესრულების მოთხოვნის უფლებაზე, რომლის დარღვევა, შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოშობს იპოთეკის უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ითხოვს რა 03.07.2008წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ გაუქმებას და ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას, მისი მიზანია ფულადი ღირებულების მქონე საგნის შენარჩუნება და უფლებრივი ტვირთისაგან გათავისუფლება. შესაბამისად, მისი ქონებრივი ინტერესი მოცემული დავის მიმართ სახეზეა და სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილი უნდა იქნას იმ თანხის 3%-ის ოდენობით, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაფორმდა იპოთეკა. მოსარჩელე ითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას გ. ქ.-ს, ს. ა.-ს და თ. ქ.-ს ნაწილში. მას მიაჩნია, რომ არსებობს იპოთეკის გაუქმების საფუძველი. მართებულად მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლომ დავის საგნის ღირებულებად 22 000 აშშ დოლარი, გადასახდელ სახელმწიფო ბაჟად კი 660 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება პალატას მიაჩნია დასაბუთებულად, კანონიერად და თვლის, რომ კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ მისი გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.



სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. უ.-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელი დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.02.2016წ. განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

თ. ზამზახიძე

მოსამართლეები:

ე. ცისკარიძე

ლ. გვარამია